საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2–101

06/06/2016 **ქ. თბილისი**

საქართველოში Campylobacter - თან დაკავშირებული არსებული მდგომარეობის შესწავლისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ კალანდაძის 2016 წლის 17 მაისის N 9025/11 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოში Campylobacter-თან დაკავშირებული არსებული მდგომარეობის შესწავლისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავებისათვის შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა)	ქეთევან ლაფერაშვილი	-	სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ)	მაია ბერუაშვილი	-	სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;
გ)	ჯამბულ მაღლაკელიძე	-	სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის

წევრი;

დ)	მაია მეტრეველი	-	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;
ე)	თამარ მოდებაძე	-	სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სურსათის კვლევის დეპარტამენტის მიკრობიოლოგიური კვლევების ლაბორატორიის უფროსი, ჯგუფის წევრი;
ვ)	თამთა მიქანაძე	-	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი.

2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს 2016 წლის პირველ დეკემბრამდე საქართველოში „Campylobacter - თან დაკავშირებული არსებული მდგომარეობის შესწავლისათვის მოსამზადებელი ღონისძიებების შემუშავება.

ოთარ დანელია

მინისტრი